ღია პარლამენტის 2017 წლის სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ანგარიში



USAID
ამერიკელი ხალხისგან

საერთაშორისო გამჭვირვალობა
საქართველო

კვლევის ხელმძღვანელი: ლიკა საჯაია
კვლევის ავტორი: გიორგი თოფურია

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“
მისამართი: თბილისი, აღმაშენებლის გამზირი N61, 0102 საქართველო
ტელეფონი: (+995 32) 292 14 03
ელფოსტა: info@transparency.ge parliament@transparency.ge
ვებგვერდი: http://transparency.ge http://MyParliament.ge

ეს ანგარიში მომზადდა შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს USAID-ის პროგრამის „დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა (GGI) საქართველოში” დაფინანსებული პროექტის „საქართველოს ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმის მონიტორინგი“ ფარგლებში.

კვლევაში გამოთქმული შეხედულებები ეკუთვნის მხოლოდ საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს და არ გამოხატავს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.

USAID
ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡᲒᲐᲜ

სარჩევი

მოკლე შეჯამება: 4

„ღია მმართველობის პარტნიორობა“ და ღია პარლამენტი 5

საქართველო და ღია პარლამენტი: 6

მეთოდოლოგია 7

1.1. პეტიციის წარდგენის ელექტრონული სისტემის დანერგვა 8

1.2. საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვის პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფა 9

1.3. საქართველოს პარლამენტისთვის საკანონმდებლო წინადადებისა და საკანონმდებლო ინიციატივის ელექტრონული სახით წარდგენისა და მოქალაქეთა მხრიდან მხარდაჭერის მექანიზმის დანერგვა პარლამენტის ვებგვერდის მეშვეობით 9

1.4. კანონშემოქმედებით პროცესში საჯარო კონსულტაციის ჩატარების წესისა და ფორმების შემუშავება 10

1.5. სპეციალური საჭიროების მქონე პირებისთვის პარლამენტის შენობის ადაპტირება და პარლამენტის მიერ მოქალაქეებისთვის გაწეული სერვისების ხელმისაწვდომობა სპეციალური საჭიროების მქონე პირებისთვის 11

1.6. ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება 12

1.7. პარლამენტის შენობაში მოქალაქეთა შესვლის პროცედურების გამარტივება 13

1.8. „საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების სახელმწიფო კონცეფციის“ შემუშავება 14

2.1. პარლამენტის ვებგვერდზე პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხის გაფართოება 15

2.2. კანონპროექტის განხილვისას პირველად ტექსტში შეტანილი ცვლილებების ხილვად ფორმატში ასახვა და მათი დროული გამოქვეყნება პარლამენტის ვებგვერდზე 16

2.3. მაჟორიტარი დეპუტატების საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება პარლამენტის ვებგვერდზე 17

2.4. საქართველოს პარლამენტის მიერ ანგარიშის მოსმენისა და საქართველოს პარლამენტის მიერ ასარჩევი პირების საკომიტეტო მოსმენის თაობაზე ინფორმაციის ვებგვერდზე დროულად განთავსება, შესაბამისი კომიტეტის სხდომის ვიდეოოქმის მომზადება და გამოქვეყნება 18

2.5. პარლამენტის კომიტეტების მიერ ერთ ან ორწლიანი სამოქმედო გეგმების მომზადება და გასაჯაროება ყოველი წლის დასაწყისში 19

3.1. საქართველოს პარლამენტისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ყოველწლიური შეხვედრის ინსტიტუციონალიზაცია 20
3.2. პარლამენტის საქმიანობის ყოველწლიური ანგარიშის შემუშავება 20
3.3. საქართველოს პარლამენტის თვითშეფასების ინსტრუმენტის შემუშავება 21
4.1. საგამოძიებო და სხვა დროებითი კომისიების საქმიანობის გამჭვირვალობის გაზრდა 22
4.2. საჯარო ინფორმაციის ანგარიშების (ე.წ. „10 დეკემბრის ანგარიშების“) მონიტორინგის სისტემის შემუშავება 23
4.3. საქართველოს პარლამენტის წევრთა ეთიკის კოდექსის შემუშავება 24
4.4. განმარტებითი ბარათის შინაარსობრივი მხარის გაუმჯობესება 25
4.5. კომიტეტის სხდომის დღის წესრიგში ცვლილებების შეტანის დასაბუთების ვალდებულების განსაზღვრა და კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის რეგულირების დახვეწა 26
4.6. მთავრობის მიერ ღია მმართველობა საქართველოს პარტნიორობის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის ზედამხედველობა/მონიტორინგი ნაწილობრივ შესრულებული ზედამხედველობის მეთოდოლოგიის 27
5.1. საჯარო ინფორმაციის მოდულის შექმნა და პარლამენტის საქმიანობასთან დაკავშირებით ინფორმაციაზე წვდომის გამარტივება (მათ შორის, დოკუმენტების ადვილად დასამუშავებელ ფორმატში განთავსება) 28
5.2. პარლამენტის ვებგვერდის რესტრუქტურიზაცია 29

მოკლე შეჯამება:

საქართველოს ღია პარლამენტის 2017 წლის სამოქმედო გეგმა შედგება 24 ვალდებულებისგან, რომელთა მიზანია საქართველოს პარლამენტის საქმიანობაში საზოგადოების ჩართულობის, საჯარო ინფორმაციაზე წვდომის გაზრდა და საკანონმდებლო ორგანოს ანგარიშვალდებულების გაძლიერება.

საქართველოს ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმის 24 ვალდებულებიდან 19 შეთავაზებულ იქნა საკონსულტაციო ჯგუფის წევრი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ, ხოლო დანარჩენი ხუთი ვალდებულება საქართველოს პარლამენტის მიერ.

წინა წლებთან შედარებით, 2017 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების პროცესი გამოირჩეოდა საბჭოს საქმიანობაში სამოქალაქო საზოგადოების მეტი ჩართულობით და ვალდებულებების შესრულებისადმი უფრო ანგარიშვალდებული საქმიანობით.

მოკლე მიმოხილვა

ვალდებულებათა რაოდენობა: 24

ვალდებულებათა შესრულების მდგომარეობა:

შესრულებულია: 12
ნაწილობრივ შესრულებული: 12

ძირითადი ეტაპების შესრულების დროულობა:

დროულად შესრულებულია: 26
დაგვიანებულია: 16

სამოქმედო გეგმის ვალდებულებების ეფექტურად განხორციელების მიზნით შეიქმნა 5 სამუშაო ჯგუფი, რომლის ფარგლებშიც ჯამში შედგა 11 გაფართოებული შეხვედრა[1]. აღნიშნული პრაქტიკის დამკვიდრებით საბჭომ უზრუნველყო საკონსულტაციო ჯგუფის წევრ არასამთავრობო ორგანიზაციების შესაძლებლობა, უფრო აქტიურად ჩართულიყვნენ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ ვალდებულებების შესრულების პროცესში.

2017 წლის სამოქმედო გეგმის შემუშავებისას საქართველოს პარლამენტმა გაითვალისწინა საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს რეკომენდაციები შესრულების ინდიკატორების შედგენის შესახებ. კერძოდ, წინა წლების სამოქმედო გეგმისგან განსხვავებით, ინდიკატორები შედგენილი იქნა ერთიანი ფორმით და სტანდარით, რაც ამარტივებს მათ შეფასებას.

მნიშვნელოვანია, რომ პარლამენტთან მიმართებაში არსებობდა ორი ძირითადი პრობლემა, რომლებიც უარყოფითად აისახა სამოქმედო გეგმის შესრულების და მასში ჩართულობის ხარისხზე, უფრო ზუსტად:

1) პარლამენტმა სათანადოდ ვერ უზრუნველყო სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული იმ ვალდებულებათა სრულად და დროულად შესრულება, რომელიც მოიცავდა პარლამენტის რეგლამენტში ცვლილებების მიღებას
2) გეგმის შედგენასა და მონიტორინგში არასაკმარისად იყვნენ ჩართული უმცირესობის წარმომადგენლები, რის შედეგადაც საბჭოს საქმიანობა ძირითიდად იყო პოლიტიკურად ერთფეროვანი

[1] კანონშემოქმედებით პროცესში საჯარო კონსულტაციის ჩატარების წესისა და ფორმების შემუშავება და მიღება (1 გაფართოებული შეხვედრა), განმარტებითი ბარათის შინაარსობრივი მხარის გაუმჯობესება (1 გაფართოებული შეხვედრა), ეთიკის კოდექსის შემუშავება (5 გაფართოებული შეხვედრა), საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების სახელმწიფო კონცეფციის შემუშავება (1 გაფართოებული შეხვედრა), საქართველოს პარლამენტის ვებ-გვერდის რესტრუქტურიზაცია (3 გაფართოებული შეხვედრა).

რა მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიგდა?

- შემუშავდა პარლამენტის ვებგვერდის განახლებული სტრუქტურა
- ინიციირებული იქნა პარლამენტის წევრების ეთიკის კოდექსი
- გაფართოვდა პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხა

რა ვერ შესრულდა?

- დროულად არ იქნა მიღებული უკუკავშირის მექანიზმებთან დაკავშირებული ცვლილები რეგლამენტში
- არ შემუშავდა სტანდარტები პარლამენტის საქმიანობის ყოველწლიური ანგარიშის შესახებ
- დროულად არ იქნა მიღებული ეთიკის კოდექსის პროექტი

„ღია მმართველობის პარტნიორობა“ და ღია პარლამენტი

„ღია მმართველობის პარტნიორობა'' (OGP) შეიქმნა 2011 წელს საერთაშორისო პლატფორმის უზრუნველყოფის მიზნით და იგი წარმოადგენს საერთაშორისო ინიციატივას, იმ სახელმწიფოებისათვის, რომლებიც ნებაყოფლობით იღებენ ვალდებულებას გახადონ ხელისუფლება უფრო ღია, გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული.

საწყის ეტაპზე ღია მმართველობის პარტნიორობის'' ინიციატივა ორიენტირებული იყო მონაწილე სახელმწიფოების აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების ღიაობისა და ანგარიშვალდებულების გაძლიერებაზე.

''ღია მმართველობის პარტნიორობის'' 2014 წლის ცვლილებების შედეგად გაფართოვდა პლატფორმის მასშტაბი და მოიცვა საკანონმდებლო ორგანოების საქმიანობაც. აღსანიშნავია, რომ 2015 წელს ხელი მოეწერა ''დეკლარაციას ღია პარლამენტის შესახებ''[2], საქართველო კი გახდა პირველი ქვეყანა, ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმის შედგენისა და მიღების მიხედვით.

[2] იხილეთ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს" კვლევა „საქართველოს პარლამენტის საქმიანობის შესაბამისობა ღია პარლამენტის შესახებ დეკლარაციასთან": https://goo.gl/HtC42S

საქართველო და ღია პარლამენტი:

2015-2016 წლების საქართველოს ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმა შემუშავდა საკონსულტაციო საბჭოსა და პარლამენტის ინტერფრაქციული სამუშაო ჯგუფის ერთობლივი ძალისხმევის შედეგად და დამტკიცდა 2015 წლის 17 ივლისს საქართველოს პარლამენტის ბიუროს მიერ. ამავე წლის 30 დეკემბერს გაუქმდა პარლამენტის ინტერფრაქციული სამუშაო ჯგუფი და ჩანაცვლდა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანებით „ღია და გამჭვირვალე მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოთი“[3].

საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო აქტიურად აკვირდებოდა ღია პარლამენტის პირველ სამოქმდეგო გეგმის შესრულების პროცესს და ამ კუთხით შემუშავებული აქვს ღია პარლამენტის 2015-2016 წლების სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ორი ანგარიში. აღსანიშნავია, რომ 2017 წლიდან პარლამენტს გააჩნია თვითშეფასების ინსტრუმენტი, რომლის მეშვეობითაც იგი აჯამებს წლის მანძილზე საქართველოს ღია და გამჭვირვალე მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს საქმიანობას.

‘’ღია და გამჭირვალე მმართველობის მუდმივმოქმედ საპარლამენტო საბჭოს’’ დახმარებას უწევს საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან დაკომპლექტებული საკონსულტაციო ჯგუფი. აღნიშნული საკონსულტაციო საბჭოს[4] მთავარი ამოცანაა ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ ვალდებულებათა განხორციელების მონიტორინგი, საბჭოს უფლებამოსილების ეფექტიანად განხორციელების ხელშეწყობა და მისთვის რეკომენდაციებისა და წინადადებების მომზადება.

ღია პარლამენტის მეორე სამოქმედო გეგმა შეიქმნა 2017 წელს საკონსულტაციო ჯგუფისა და ღია და გამჭვირვალე მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს ერთობლივი ძალისხმევით. აღსანიშნავია, რომ სამოქმედო გეგმა თავდაპირველად 2017-2018 წლების განსახორციელებელ საქმიანობას მოიცავდა, მაგრამ ღია მმართველობის პარტნიორობის სამდივნოს რეკომენდაციით 2017 წლის 18 სექტემბერს სამოქმედო გეგმა გაიყო ორ ნაწილად და 2017 წლის გეგმა ცალკე დამტკიცდა.

[3] საპარლამენტო საბჭოს წევრები არიან: ირინე ფრუიძე, ეკა ბესელია, თინათინ ბოკუჩავა, გიორგი კახიანი, ოთარი კახიძე, ემზარ კვიციანი, ირაკლი კობახიძე, კახაბერ კუჭავა, გუგული მაღრაძე, გიორგი ტუღუში, თამარი ჩუგოშვილი

[4] საკონსულტაციო ჯგუფის წევრები არიან: „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“, „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, „ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი“, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, „ჯამპსტარტ ჯორჯია“, „სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი“, „გაეროს განვითარების პროგრამა“ (UNDP), „ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგნტო“ (USAID), „ღია საზოგადოება - საქართველო, „საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდი“ (GIZ), „აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი - საქართველოს ეროვნული პლატფორმა“, „ევროპის საბჭო“, „ეკონომიკური პოლიტიკის კვლევითი ცენტრი“.

მეთოდოლოგია

„ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ანგარიში“ ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასების პირველი მექანიზმია. იგი ეფუძნება „ღია მმართველობის პარტნიორობის“ დამოუკიდებელი ანგარიშის კითხვარსა და სახელმძღვანელო მითითებებს, ღია პარლამენტის ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუთა ერთობლიობის და მონაცემთა ანალიზს. ასევე, ამ კვლევის სრულყოფილების მიზნით, საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო ესწრება მუდმივმოქმედი საბჭოსა და მასთან არსებული საკონსულტაციო საბჭოს ყველა შეხვედრას, მათ შორის მის საქმიანობაში ჩაშლილ ყველა თემატურ მიმართულებას.

თითოეული ვალდებულებისთვის შესრულების ანალიზისთვის მოცემულია ექვსი ძირითადი კომპონენტი და მათ საფუძველზე შექმნილი გრაფიკი:

კვლევის საანგარიშო პერიოდია 01/05/2017 - 31/12/2017.

- **„ღია მმართველობის პარტნიორობის“ პრინციპები**: აღნიშნულია „ღია მმართველობის“ რომელი ძირითადი პრინციპის გაუმჯობესებას ისახავს მიზნად კონკრეტული ვალდებულების შესრულება
- **პოტენციური ზეგავლენა**: შეფასებულია ვალდებულების პოტენციური ზეგავლენის მნიშვნელობა, რომელიც მერყეობს არცერთიდან (ყველაზე დაბალი) ტრანსფორმაციულამდე (ყველაზე მაღალი).
- **ვალდებულების შესრულების ძირითადი ეტაპები**: აღწერილია ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ცალკეული ვალდებულების განხორციელების დაწყების და დასრულების თარიღები, ძირითადი ეტაპები და ასევე შესრულების მდგომარეობა (შესრულებულია, შესრულდა დაგვიანებით, უმეტესი ნაწილი შესრულებულია, ნაწილობრივ შესრულდა, შესრულების პროცესშია და არ არის შესრულებული) და დროულობა (სამოქმედო გეგმით დადგენილ ვადაში ან დაგვიანებით).
- **ინფორმაცია ვალდებულების შესახებ**: მოიცავს ვალდებულების, არსებული მდგომარეობისა და ცვლილების საჭიროების მიმოხილვას.
- **ვალდებულების შესრულება**: აღწერილია ვალდებულების განხორციელების პროცესი
- **შეჯამება**: მოიცავს ვალდებულებასთან დაკავშირებულ ზოგად მიმოხილვასა და რეკომენდაციებს.

1.1. პეტიციის წარდგენის ელექტრონული სისტემის დანერგვა

„ღია მმართველობის პარტნიორობის“ პრინციპები	ინფორმაციაზე წვდომა	ანგარიშ-ვალდებულება	მოქალაქეთა ჩართულობა	ტექნოლოგიები და ინოვაციები
	x	X	X	X
პოტენციური ზეგავლენა	არცერთი	მცირე	საშუალო	ტრანსფორ-მაციული
			X	
ვალდებულების განხორციელების ძირითადი ეტაპები	დაწყების თარიღი:	დასრულების თარიღი:	შესრულების მდგომარეობა	დროულობა
პეტიციების განხილვის პროცესის დახვეწის მიზნით რეგლამენტში შესაბამისი ცვლილებების ინიცირება	06/2017	12/2017	შესრულებული	დროულად
პლატფორმის ტექნიკური დავალების შემუშავება	06/2017	12/2017	არ არის შესრულებული	დაგვიანებული
ინფორმაცია ვალდებულების შესახებ	პარლამენტის რეგლამენტის 203-ე მუხლის მიხედვით, მოქალაქეებს აქვთ შესაძლებლობა, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის სახელზე შეიტანონ წერილობითი ფორმით შედგენილი პეტიცია, რომელიც შეეხება სახელმწიფოებრივ ან საერთო პრობლემებიდან გამომდინარე საკითხს. მოქალაქეები აქტიურად არ იყენებენ პეტიციების წერილობითი ფორმით წარდგენის მექანიზმს. 2012 წლის 20 დეკემბრიდან - 2016 წლის 12 ივლისამდე, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის სახელზე მხოლოდ 19 პეტიცია დარეგისტრირდა. ეს ნაწილობრივ განპირობებულია იმით, რომ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი პეტიციის ელექტრონული ფორმით გამარტივებული წარდგენის შესაძლებლობას არ ითვალისწინებს.			
ვალდებულების შესრულება	2017 წლის 28 დეკემბერს ბიუროს წარედგინა პარლამენტის წევრების ინიციატივა პარლამენტის რეგლამენტში ცვლილებების შეტანის შესახებ. ინიციირებული პროექტის მიხედვით, პარლამენტის ვებ-გვერდზე გამოიყოფა სპეციალური განყოფილება, სადაც მოქალაქეები შეძლებენ ელექტრონული პეტიციის ფორმის შევსებას და პარლამენტისთვის გადაგზავნას. პლატფორმის ტექნიკური დავალება არ შემუშავებულება.			
რეკომენდაციები სამომავლო საქმიანობისთვის	• ვინაიდან ელექტრონული დემოკრატიის პრინციპები ახლა ინერგება საქართველოში და მომხმარებლების რაოდენობა მცირეა, მნიშვნელოვანია, რომ ამ მიმართულებით საქართველოს პარლამენტმა უზრუნველყოს მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლება[5] • პეტიციის ხელმომწერებს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ მიიღონ სიახლეები ელექტრონული ფოსტით ან მოკლე ტექსტური შეტყობინების გზით			

[5] პარლამენტში მოქალაქეთა მიერ საკანონმდებლო ინიციატივის და პეტიციის წარდგენა ელექტრონული ფორმით იქნება შესაძლებელი: https://goo.gl/Jw89Ya

	• პეტიციების ელექტრონული პლატფორმის პოპულარიზაციის მიზნით, სასურველია, რომ მათზე დანერგული იყოს კომენტარების სისტემა, რომელიც მოქალაქეებს დისკუსიის საშუალებას მისცემს

1.2. საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვის პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფა

„ღია მმართველობის პარტნიორობის“ პრინციპები	ინფორმაციაზე წვდომა	ანგარიშ-ვალდებულება	მოქალაქეთა ჩართულობა	ტექნოლოგიები და ინოვაციები
	x	X	X	
პოტენციური ზეგავლენა	არცერთი	მცირე	საშუალო	ტრანსფორ-მაციული
			X	
ვალდებულების განხორციელების ძირითადი ეტაპები	დაწყების თარიღი:	დასრულების თარიღი:	შესრულების მდგომარეობა	დროულობა
პარლამენტის რეგლამენტში ცვლილების ტექსტის დახვეწა	05/2017	10/2017	შესრულებული	დროულად
რეგლამენტის ცვლილების ტექსტის მიღება	10/2017	12/2017	შესრულების პროცესშია	დაგვიანებული
ინფორმაცია ვალდებულების შესახებ	ვალდებულება მიზნად ისახავს დააზუსტოს საკონსტიტუციო ცვლილებების საყოველთაო-სახალხო განხილვის ჩატარების პროცესი, მათ შორის: შეხვედრების მინიმალური რაოდენობა, გეოგრაფიული არეალი, მოქალაქეთა ინფორმირების ვალდებულება, მოქალაქეთა მოსაზრებების დაფიქსირების მექანიზმები, ასევე საყოველთაო-სახალხო განხილვის პროცესის საჯაროობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა შეხვედრების შესახებ ინფორმაციის წინასწარ გამოქვეყნების გზით.			
ვალდებულების შესრულება	პარლამენტის რეგლამენტში ცვლილების პროექტი ინიცირებულია და განხილული იქნა 2017 წლის 18 დეკემბრის ბიუროს სხდომაზე. სამოქმედო გეგმის მიხედვით პროექტის მიღება უნდა მომხდარიყო 2017 წლის დეკემბრამდე, შესაბამისად ვალდებულება არის მხოლოდ ნაწილობრივ შესრულებული.			

1.3. საქართველოს პარლამენტისთვის საკანონმდებლო წინადადებისა და საკანონმდებლო ინიციატივის ელექტრონული სახით წარდგენისა და მოქალაქეთა მხრიდან მხარდაჭერის მექანიზმის დანერგვა პარლამენტის ვებგვერდის მეშვეობით

„ღია მმართველობის პარტნიორობის“ პრინციპები	ინფორმაციაზე წვდომა	ანგარიშ-ვალდებულება	მოქალაქეთა ჩართულობა	ტექნოლოგიები და ინოვაციები
	x	X	X	

პოტენციური ზეგავლენა	არცერთი	მცირე	საშუალო	ტრანსფორ-მაციული
			X	
ვალდებულების განხორციელების ძირითადი ეტაპები	დაწყების თარიღი:	დასრულების თარიღი:	შესრულების მდგომარეობა	დროულობა
პარლამენტის რეგლამენტში შესატანი შესაბამისი ცვლილებების პროექტის შემუშავება	05/2017	10/2017	შესრულებული	დროულად
პარლამენტის რეგლამენტში შეტანილი შესაბამისი ცვლილებების მიღება	12/2017	12/2017	შესრულების პროცესშია	დაგვიანებული
ინფორმაცია ვალდებულების შესახებ	საქართველოს კონსტიტუციისა და პარლამენტის რეგლამენტის მიხედვით, მოქალაქეებს აქვთ უფლება, საქართველოს პარლამენტში წარადგინონ საკანონმდებლო ინიციატივა, რისთვისაც უნდა შეაგროვონ საქართველოს მოქალაქეების არანაკლებ 30 000 ხელმოწერა. თუმცა, მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ხელმოწერების ელექტრონული ფორმით შეგროვების შესაძლებლობას. ელექტრონული შესაძლებლობის დანერგვა და პროცედურის გამარტივება ხელს შეუწყობს მოქალაქეთა მიერ საკანონმდებლო ინიციატივის უფლების აქტიურ გამოყენებას.			
ვალდებულების შესრულება	2017 წლის 28 დეკემბერს ბიუროს წარედგინა პარლამენტის წევრების ინიციატივა პარლამენტის რეგლამენტში ცვლილებების შეტანის შესახებ. ინიციირებული პროექტის მიხედვით, პარლამენტის ვებ-გვერდზე გამოიყოფა სპეციალური განყოფილება, სადაც მოქალაქეები შეძლებენ ელექტრონული პეტიციის ფორმის შევსებას და პარლამენტისთვის გადაგზავნას.			
რეკომენდაციები სამომავლო საქმიანობისთვის	• საკანონმდებლო ინიციატივისა ხელმომწერებს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ მიიღონ სიახლეები ელექტრონული ფოსტით ან მოკლე ტექსტური შეტყობინების გზით[6] • საკანონმდებლო ინიციატივების ელექტრონული პლატფორმის პოპულარიზაციის მიზნით, სასურველია, რომ მათზე დანერგული იყოს კომენტარების სისტემა, რომელიც მოქალაქეებს დისკუსიის საშუალებას მისცემს			

1.4. კანონშემოქმედებით პროცესში საჯარო კონსულტაციის ჩატარების წესისა და ფორმების შემუშავება

„ღია მმართველობის პარტნიორობის“ პრინციპები	ინფორმაციაზე წვდომა	ანგარიშ-ვალდებულება	მოქალაქეთა ჩართულობა	ტექნოლოგიები და ინოვაციები
	X	X	X	

[6] პარლამენტში მოქალაქეთა მიერ საკანონმდებლო ინიციატივის და პეტიციის წარდგენა ელექტრონული ფორმით იქნება შესაძლებელი: https://goo.gl/Jw89Ya

პოტენციური ზეგავლენა	არცერთი	მცირე	საშუალო	ტრანსფორ-მაციული
			X	
ვალდებულების განხორციელების ძირითადი ეტაპები	დაწყების თარიღი:	დასრულების თარიღი:	შესრულების მდგომარეობა	დროულობა
კანონშემოქმედებით პროცესში საჯარო კონსულტაციების ჩატარების წესისა და ფორმების შემუშავება	06/2017	12/2017	შესრულებული	დროულად
უკუკავშირის მექანიზმის სახეებისა და ფორმების შემუშავება და შესაბამისი ინსტრუქციების დამტკიცება	06/2017	12/2017	შესრულების პროცესშია	დაგვიანებული
ინფორმაცია ვალდებულების შესახებ	დაინტერესებული პირები ინფორმირებული უნდა იყვნენ პარლამენ-ტისთვის კომენტარების მიწოდებისა და კანონშემოქმედებით პროცესში ჩართვის შესაძლებლობის შესახებ. ასევე, ვალდებულების მიზანია რომ პარლამენტს ნათლად უნდა ჰქონდეს გააზრებული კონსულტაციების პროცესის დაწყების, წარმართვის, მათი ვადებისა და ფორმების საკითხი.			
ვალდებულების შესრულება	2017 წლის 28 დეკემბერს ბიუროს წარედგინა პარლამენტის წევრების ინიციატივა პარლამენტის რეგლამენტში ცვლილებების შეტანის შესახებ. ინიციირებული პროექტის მიხედვით, პარლამენტის ბიუროს მიერ კანონპროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ იგი საჯარო კონსულტაციის მიღების მიზნით უნდა გამოქვეყნდეს პარლამენტის ვებგვერდზე. ასევე, წამყვანი კომიტეტი შეისწავლის და აფასებს საჯარო კონსულტაციების გზით მიღებული კომენტარების მიზანშეწონილობას და საჭიროების შემთხვევაში ასახავს მათ კომიტეტის დასკვნაში.			

1.5. სპეციალური საჭიროების მქონე პირებისთვის პარლამენტის შენობის ადაპტირება და პარლამენტის მიერ მოქალაქეებისთვის გაწეული სერვისების ხელმისაწვდომობა სპეციალური საჭიროების მქონე პირებისთვის

„ღია მმართველობის პარტნიორობის“ პრინციპები	ინფორმაციაზე წვდომა	ანგარიშ-ვალდებულება	მოქალაქეთა ჩართულობა	ტექნოლოგიები და ინოვაციები
		X	X	X
პოტენციური ზეგავლენა	არცერთი	მცირე	საშუალო	ტრანსფორ-მაციული
			X	
ვალდებულების განხორციელების ძირითადი ეტაპები	დაწყების თარიღი:	დასრულების თარიღი:	შესრულების მდგომარეობა	დროულობა

პარლამენტის შენობის (თბილისი) სპეციალური საჭიროების მქონე პირებისთვის ადაპტირების პროექტის შემუშავება	05/2017	08/2017	შესრულებული	დროულად
შშმ პირთათვის მომსახურების (განცხადების შეტანა, ინფორმაციის მიწოდება და ა.შ.) მიწოდებისა და შეხვედრებში მონაწილეობის შესახებ კონცეფციის შემუშავება შშმ პირთა ორგანიზაციების ჩართულობითა და უნივერსალური დიზაინის პრინციპის გათვალისწინებით	05/2017	10/2017	შესრულების პროცესშია	დაგვიანებული
შესაბამისი ნორმატიული აქტებისა და ინფრასტრუქტურის (ტექნოლოგიური) მომზადება	05/2017	12/2017	შესრულების პროცესშია	დაგვიანებული
ინფორმაცია ვალდებულების შესახებ	2013 წელს, საქართველოს პარლამენტმა მოახდინა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კონვენციის რატიფიცირება. კონვენცია ითვალისწინებს საქართველოს ვალდებულებას, უზრუნველყოს და ხელი შეუწყოს შშმ პირების მიერ უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელებას შემდეგი პრინციპების გათვალისწინებით: არადისკრიმინაცია, საზოგადოებაში სრული და ეფექტური ინტეგრაცია, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების განსხვავებულობის პატივისცემა და ადამიანებისა და კაცობრიობის მრავალფეროვნების გამოხატულების ნაწილად მათი აღიარება, შესაძლებლობათა თანასწორობა, ხელმისაწვდომობა და ა.შ. საქართველოს პარლამენტის სერვისები და ინფრასტრუქტურა არ ითვალისწინებს სპეციალური საჭიროებების მქონე პირთა ინტერესებს, რაც, ფაქტობრივად, შეუძლებელს ხდის შშმ პირის პარლამენტის საქმიანობაში ჩართვას და/ან პარლამენტის მომსახურების მიღებას.			
ვალდებულების შესრულება	პარლამენტის შენობის (თბილისი) სპეციალური საჭიროების მქონე პირებისთვის ადაპტირების პროექტის შემუშავება მოხდა დროულად, თუმცა არ არის შემუშავებული კონცეფცია და შესაბამისი ნორმატიული აქტები.			

1.6. ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება

„ღია მმართველობის პარტნიორობის“ პრინციპები	ინფორმაციაზე წვდომა	ანგარიშ-ვალდებულება	მოქალაქეთა ჩართულობა	ტექნოლოგიები და ინოვაციები
	X	X	X	

პოტენციური ზეგავლენა	არცერთი	მცირე	საშუალო	ტრანსფორ-მაციული
		X		
ვალდებულების განხორციელების ძირითადი ეტაპები	დაწყების თარიღი:	დასრულების თარიღი:	შესრულების მდგომარეობა	დროულობა
შეხვედრის ორგანიზება პარლამენტის წევრებისთვის, რომელთა ფარგლებშიც მოხდება საპარლამენტო OGP-ისა და გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების შესახებ ცნობიერების ამაღლება.	10/2017	12/2017	შესრულებული	დროულად
ინფორმაცია ვალდებულების შესახებ	ვალდებულების მიზანია პარლამენტის წევრები ფლობდნენ მეტ ინფორმაციას საპარლამენტო OGP-ისა და გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების შესახებ.			
ვალდებულების შესრულება	შედგა ერთი შეხვედრა პარლამენტის წევრებისა და სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობით, სადაც განხილული იყო ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმა			
რეკომენდაციები სამომავლო საქმიანობისთვის	სასურველია, რომ ღია მმართველობის პარტნიორობის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების პროცესებში იყვნენ ჩართულები არამხოლოდ მუდმივმოქმედი საბჭოს წევრები, არამედ პარლამენტის სხვა წევრებიც.			

1.7. პარლამენტის შენობაში მოქალაქეთა შესვლის პროცედურების გამარტივება

„ღია მმართველობის პარტნიორობის“ პრინციპები	ინფორმაციაზე წვდომა	ანგარიშ-ვალდებულება	მოქალაქეთა ჩართულობა	ტექნოლოგიები და ინოვაციები
	X		X	
პოტენციური ზეგავლენა	არცერთი	მცირე	საშუალო	ტრანსფორ-მაციული
		X		
ვალდებულების განხორციელების ძირითადი ეტაპები	დაწყების თარიღი:	დასრულების თარიღი:	შესრულების მდგომარეობა	დროულობა
პარლამენტის შენობაში შესვლის წესების შესახებ მოკლე ინფორმაციის მარტივი სახით, თვალსაჩინო განთავსება პარლამენტის ვებგვერდზე.	06/2017	09/2017	შესრულებული	დროულად

ინფორმაცია ვალდებულების შესახებ	2016 წლის აპრილში პარლამენტის ვებგვერდზე განთავსდა პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანება „საქართველოს პარლამენტის სასახლეში და მიმდებარე ტერიტორიაზე უსაფრთხოების დაცვის რეჟიმის შესახებ", თუმცა დოკუმენტი არ არ იყო ადვილად ხელმისაწვდომი დაინტერესებული პირებისთვის, ვინაიდან პარლამენტის შენობაში შესვლის წესი იყო განთავსებული სამართლებრივი დოკუმენტების რთულად სამართავ გრაფაში. შესაბამისად, პარლამენტის ვებგვერდზე არ იყო მოცემული მოკლე რეზიუმე პარლამენტის შენობაში შესვლის ზოგადი წესის შესახებ.
ვალდებულების შესრულება	2017 წლის 30 სექტემბერს პარლამენტის ვებგვერდის თვალსაჩინო ადგილას გამოქვეყნდა ბანერი „ვიზიტი პარლამენტში", სადაც მითითებულია ინფორმაცია პარლამენტში ვიზიტის შესახებ.
რეკომენდაციები სამომავლო საქმიანობისთვის	სასურველია, რომ პარლამენტის ვერგვერდით სამომავლოდ შესაძლებელი იყოს დაინტერესებულ პირებზე საშვის ელექტრონულად დაშვება.

1.8. „საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების სახელმწიფო კონცეფციის" შემუშავება

„ღია მმართველობის პარტნიორობის" პრინციპები	ინფორმაციაზე წვდომა	ანგარიშ-ვალდებულება	მოქალაქეთა ჩართულობა	ტექნოლოგიები და ინოვაციები
		X	X	
პოტენციური ზეგავლენა	არცერთი	მცირე	საშუალო	ტრანსფორ-მაციული
		X		
ვალდებულების განხორციელების ძირითადი ეტაპები	დაწყების თარიღი:	დასრულების თარიღი:	შესრულების მდგომარეობა	დროულობა
„საზოგადოებრი ორგანიზაციების განვითარების სახელმწიფო კონცეფციის" დახვეწა	09/2017	12/2017	შესრულებული	დროულად
ინფორმაცია ვალდებულების შესახებ	2013 წლის დეკემბერში საქართველოს პარლამენტსა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შორის გაფორმებული მემორანდუმის პირველი მუხლის თანახმად, პარლამენტმა, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა და სხვა დაინტერესებულმა მხარეებმა უნდა შეიმუშაონ „სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების განვითარების სახელმწიფო კონცეფცია". კონცეფციის პირველადი პროექტი უკვე შემუშავდა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საინიციატივო ჯგუფის აქტიური ჩართულობით. სამუშაო ჯგუფმა ოფიციალური ვერსია 2014 წელს მოამზადა და საქართველოს 7 ქალაქში გამართა საჯარო განხილვები ადგილობრივ სამოქალაქო აქტივისტებთან, ადგილობრივი ხელისუფლებისა და არასამთავრობობის/სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა წარმომადგენლებთან.			
ვალდებულების შესრულება	ვალდებულება შესრულებულია დროულად.			

2.1. პარლამენტის ვებგვერდზე პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხის გაფართოება

„ღია მმართველობის პარტნიორობის“ პრინციპები	ინფორმაციაზე წვდომა	ანგარიშ-ვალდებულება	მოქალაქეთა ჩართულობა	ტექნოლოგიები და ინოვაციები
	X		X	X
პოტენციური ზეგავლენა	არცერთი	მცირე	საშუალო	ტრანსფორ-მაციული
			X	
ვალდებულების განხორციელების ძირითადი ეტაპები	დაწყების თარიღი:	დასრულების თარიღი:	შესრულების მდგომარეობა	დროულობა
პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის შესახებ პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანებაში ცვლილებების შეტანა	05/2017	09/2017	შესრულებული	დაგვიანებული
სტატისტიკურად დასამუშავებელი ინფორმაციის ნუსხის განსაზღვრა	05/2017	09/2017	შესრულებული	დაგვიანებული
ვალდებულებით განსაზღვრული ინფორმაცის პარლამენტის ვებგვერდზე გამოქვეყნება	10/2017	ქვეყნდება სისტემატურად	შესრულების პროცესშია	დაგვიანებული
ყოველწლიური სტატისტიკური ინფორმაციის მომზადება და გამოქვეყნება	12/2017	მზადდება და ქვეყნდება სისტემატურად	შესრულების პროცესშია	-
ინფორმაცია ვალდებულების შესახებ	ვალდებულების მიზანია პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხის გაფართოება, მათ შორის: 1. პარლამენტის ვებგვერდზე ინფორმაციის განთავსება საქართველოს პარლამენტის წევრთა და აპარატის თანამშრომელთა ოფიციალური და სამუშაო ვიზიტებისათვის გაწეული სამივლინებო ხარჯების შესახებ (ჯამურად) (ცალ- ცალკე - ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ განხორციელებული მივლინებებისთვის), მათ შორის პარლამენტის წევრის და აპარატის თანამდებობის პირის სახელის, გვარის, მივლინების თარიღის (პერიოდის), ქვეყნის და მის მიერ გაწეული სამივლინებო ჯამური ხარჯის მითითებით. 2. სადეპუტატო და საკომიტეტო კითხვებთან დაკავშირებით სტატისტიკური ინფორმაცია 3. ინფორმაცია პარლამენტის წევრების მიერ პლენარული და კომიტეტის სხდომების საპატიო მიზეზით გაცდენების შესახებ			

	4. კანონპროექტთან დაკავშირებით სახალხო დამცველის, საჯარო დაწესებულებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ პარლამენტში წარდგენილი ან პარლამენტის სხვადასხვა კომიტეტისა თუ დეპარტამენტების მიერ მომზადებული დასკვნები, წინადადებები და მოსაზრებები 5. პარლამენტის საქმიანობის შესახებ ყოველწლიური სტატისტიკური ინფორმაციის მომზადება და გამოქვეყნება
ვალდებულების შესრულება	პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის შესახებ პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანებაში ცვლილებები შეტანილია, მაგრამ საანგარიშო პერიოდში ვებ-გვერდზე არ იქნა განთავსებულები ინფორმაცია კომიტეტის სხდომების საპატიო მიზეზით გაცდენების შესახებ.

2.2. კანონპროექტის განხილვისას პირველად ტექსტში შეტანილი ცვლილებების ხილვად ფორმატში ასახვა და მათი დროული გამოქვეყნება პარლამენტის ვებგვერდზე

„ღია მმართველობის პარტნიორობის“ პრინციპები	ინფორმაციაზე წვდომა	ანგარიშ-ვალდებულება	მოქალაქეთა ჩართულობა	ტექნოლოგიები და ინოვაციები
	X		X	X
პოტენციური ზეგავლენა	არცერთი	მცირე	საშუალო	ტრანსფორ-მაციული
		X		
ვალდებულების განხორციელების ძირითადი ეტაპები	დაწყების თარიღი:	დასრულების თარიღი:	შესრულების მდგომარეობა	დროულობა
კანონპროექტის პირველად ტექსტში განხილვის შედეგად შეტანილი ცვლილებების ხილვად ფორმატში ასახვის კონცეფციის შემუშავება	06/2017	08/2017	შესრულებული	დროულად
კანონპროექტის პირველად ტექსტში განხილვის შედეგად შეტანილი ცვლილებების ხილვად ფორმატში ასახვა და ვებგვერდზე გამოქვეყნება	10/2017	ქვეყნდება სისტემატურად	შესრულების პროცესშია	-
ინფორმაცია ვალდებულების შესახებ	საქართველოს პარლამენტში არ არსებობს სათანადო დონეზე ფუნქციური სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს კანონპროექტის პირველად ტექსტში განხილვის შედეგად შეტანილი ცვლილებების ხილვად ფორმატში ასახვას და მათ დროულ გამოქვეყნებას პარლამენტის ვებგვერდზე. მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტის ვებგვერდზე განთავსებულია ყველა კანონპროექტი, არ არსებობს კანონპროექტის სხვადასხვა ვერსიებს შორის არსებული სხვაობების ელექტრონულ ფორმატში ნახვის (შედარების) ტექნიკური შესაძლებლობა, რაც ერთმნიშვნელოვნად აფერხებს კანონშემოქმედებით საქმიანობაში ჩართულობას.			

ვალდებულების შესრულება	კანონპროექტის პირველად ტექსტში განხილვის შედეგად შეტანილი ცვლილებების ხილვად ფორმატში ასახვის კონცეფციის შემუშავებულია დროულად, თუმცა ეს ცვლილება ყველა კანონპროექტზე არ არის ასახული.
რეკომენდაციები სამომავლო საქმიანობისთვის	მნიშვნელოვანია, რომ პირველად ტექსტში განხილვის შედეგად შეტანილი ცვლილებების ხილვად ფორმატში ასახვა ხდებოდეს ყველა კანონპროექტისთვის.

2.3. მაჟორიტარი დეპუტატების საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება პარლამენტის ვებგვერდზე

„ღია მმართველობის პარტნიორობის“ პრინციპები	ინფორმაციაზე წვდომა	ანგარიშ-ვალდებულება	მოქალაქეთა ჩართულობა	ტექნოლოგიები და ინოვაციები
		X	X	X
პოტენციური ზეგავლენა	არცერთი	მცირე	საშუალო	ტრანსფორ-მაციული
		x		
ვალდებულების განხორციელების ძირითადი ეტაპები	დაწყების თარიღი:	დასრულების თარიღი:	შესრულების მდგომარეობა	დროულობა
მაჟორიტარი დეპუტატების ინდივიდუალურ გვერდებზე მათი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოსაქვეყნებელი სივრცის შექმნა	06/2017	09/2017	შესრულებული	დროულად
ვებგვერდზე მოცემულ მაჟორიტარ დეპუტატთა ინდივიდუალურ გვერდებზე მაჟორიტარული ბიუროს მისამართის, მიღების საათებისა და საკონტაქტო პირის მითითება	06/2017	09/2017	შესრულებული	დროულად
ინფორმაცია ვალდებულების შესახებ	www.parliament.ge ვებგვერდზე არსებულ მაჟორიტარი დეპუტატის ინდივიდუალურ გვერდზე განთავსებულია მხოლოდ თბილისისა და ქუთაისის ოფისების მისამართები, ხოლო საარჩევნო ოლქში არსებული ბიუროს მისამართი და საკონტაქტო ინფორმაცია არ იძებნება, რაც ართულებს ამომრჩევლის მიერ დეპუტატის პოვნასა და მასთან შეხვედრის ორგანიზებას.			
ვალდებულების შესრულება	მაჟორიტარი დეპუტატების ინდივიდუალურ გვერდებზე მათი საქმიანობის შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნებულია და მოიცავს მათი ბიუროების მისამართებს, მიღების საათებსა და საკონტაქტო პირის საკონტაქტო ინფორმაციას.			

2.4. საქართველოს პარლამენტის მიერ ანგარიშის მოსმენისა და საქართველოს პარლამენტის მიერ ასარჩევი პირების საკომიტეტო მოსმენის თაობაზე ინფორმაციის ვებგვერდზე დროულად განთავსება, შესაბამისი კომიტეტის სხდომის ვიდეოოქმის მომზადება და გამოქვეყნება

„ღია მმართველობის პარტნიორობის“ პრინციპები	ინფორმაციაზე წვდომა	ანგარიშ-ვალდებულება	მოქალაქეთა ჩართულობა	ტექნოლოგიები და ინოვაციები
	X	X		X
პოტენციური ზეგავლენა	არცერთი	მცირე	საშუალო	ტრანსფორ-მაციული
		X		
ვალდებულების განხორციელების ძირითადი ეტაპები	დაწყების თარიღი:	დასრულების თარიღი:	შესრულების მდგომარეობა	დროულობა
ანგარიშების თაობაზე ინფორმაციის განთავსება, შესაბამისი განხილვის ვიდეო-ოქმების განთავსება პარლამენტის ვებგვერდზე	06/2017	ქვეყნდება სისტემატურად	შესრულებელია	დროულად
ასარჩევი პირების მოსმენის თაობაზე ინფორმაციის განთავსება, შესაბამისი კომიტეტის სხდომის ვიდეო-ოქმების განთავსება პარლამენტის ვებგვერდზე	06/2017	ქვეყნდება სისტემატურად	შესრულებელია	დროულად
ინფორმაცია ვალდებულების შესახებ	საქართველოს პარლამენტს საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის საფუძველზე მინიჭებული აქვს უფლება აირჩიოს კონკრეტული თანამდებობის პირები, უზენაესი სასამართლოსა და საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეები, ამა თუ იმ სახელმწიფო კოლეგიური ორგანოს წევრები. ამ პირების არჩევის მიმართ არსებობს მაღალი საჯარო ინტერესი და საზოგადოებისთვის საინტერესოა საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველი. ამ ვალდებულების მიზანია, საზოგადოებამ მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია აღმასრულებელი ხელისუფლებისა და სხვა ანგარიშვალდებული ორგანოების ანგარიშების მოსმენის თაობაზე, საქართველოს პარლამენტარების ჩართულობის თაობაზე ანგარიშის განხილვის პროცესში. ეს ინფორმაცია დროულად უნდა გამოქვეყნდეს პარლამენტის ვებგვერდზე, უნდა მომზადეს შესაბამისი განხილვის ვიდეო ოქმები და განთავსდეს პარლამენტის ვებგვერდზე			
ვალდებულების შესრულება	ვალდებულების შესახებ ცვლილება შეტანილია პროაქტიულად გამოსაქვეყნებელ ნუსხაში და ვიდეო-ოქმები გამოქვეყნებულის პარლამენტის ოფიციალურ youtube-ის არხზე.			

რეკომენდაციები სამომავლო საქმიანობისთვის	სასურველია, რომ პარლამენტის ვებგვერდზე არსებობდეს ცალკე რუბრიკა საპარლამენტო კონტროლის შესახებ, სადაც განთავსებული იქნება საპარლამენტო კონტროლთან დაკავშირებული ყველა ანგარიში, დასკვნა და ვიდეო ჩანაწერი.

2.5. პარლამენტის კომიტეტების მიერ ერთ ან ორწლიანი სამოქმედო გეგმების მომზადება და გასაჯაროება ყოველი წლის დასაწყისში

„ღია მმართველობის პარტნიორობის“ პრინციპები	ინფორმაციაზე წვდომა	ანგარიშ-ვალდებულება	მოქალაქეთა ჩართულობა	ტექნოლოგიები და ინოვაციები
	X	X	X	X
პოტენციური ზეგავლენა	არცერთი	მცირე	საშუალო	ტრანსფორ-მაციული
		X		
ვალდებულების განხორციელების ძირითადი ეტაპები	დაწყების თარიღი:	დასრულების თარიღი:	შესრულების მდგომარეობა	დროულობა
კომიტეტების სამოქმედო გეგმის ფორმატისა და შინაარსის განსაზღვრა	06/2017	10/2017	შესრულებულია	დროულად
ცვლილება კომიტეტების დებულებაში ყოველწლიური სამოქმედო გეგმების შემუშავების შესახებ	09/2017	10/2017	შესრულებულია	დროულად
ინფორმაცია ვალდებულების შესახებ	2014-2015 წლებში ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) საპარლამენტო პროექტის ფარგლებში რამდენიმე კომიტეტს დახმარება გაეწია ორწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებაში. ეს იყო პირველი მცდელობა კომიტეტების მხრიდან დეტალურად დაეგეგმათ თავიანთი საქმიანობა როგორც საკანონმდებლო და საზედამხედველო, ისე საზოგადოებასთან ურთიერთობების კუთხით. გეგმები მოიცავდა იმ შიდა ორგანიზაციულ აქტივობებს, რომლებიც აუცილებელი იყო კომიტეტისა და მისი აპარატის გაძლიერებისა და პროფესიული უნარ-ჩვევების ასამაღლებლად. ამჟამად, ევროკავშირი და UNDP[7] აგრძელებენ პარლამენტის ზოგიერთ კომიტეტთან მუშაობას ამ მიმართულებით. მსგავს სამოქმედო გეგმებზე მუშაობენ სხვა დარგობრივი კომიტეტებიც სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის დახმარებით. სასურველია, კომიტეტების მიერ სამოქმედო გეგმების შემუშავებამ რეგულარული ხასიათი მიიღოს და ეს საქმიანობა გაიწეროს კომიტეტების დებულებით.			
ვალდებულების შესრულება	კომიტეტის სამოქმედო გეგმის ფორმატი და შინაარსი განისაზღვრა დროულად.			

[7] ეს კომიტეტებია: ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტი, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი, აგრარულ საკითხთა კომიტეტი, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი, იურიდიულ საკითხთა კომიტეტი

3.1. საქართველოს პარლამენტისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ყოველწლიური შეხვედრის ინსტიტუციონალიზაცია

„ღია მმართველობის პარტნიორობის“ პრინციპები	ინფორმაციაზე წვდომა	ანგარიშ-ვალდებულება	მოქალაქეთა ჩართულობა	ტექნოლოგიები და ინოვაციები
	X	X	X	
პოტენციური ზეგავლენა	არცერთი	მცირე	საშუალო	ტრანსფორ-მაციული
		X		
ვალდებულების განხორციელების ძირითადი ეტაპები	დაწყების თარიღი:	დასრულების თარიღი:	შესრულების მდგომარეობა	დროულობა
პარლამენტის რეგლამენტში შესაბამისი ცვლილებების შეტანა	05/2017	12/2017	შესრულების პროცესშია	დაგვიანებულია
პარლამენტისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ყოველწლიური შეხვედრა	12/2017	ტარდება ყოველ-წლიურად	არ შესრულებულა	დაგვიანებულია
ინფორმაცია ვალდებულების შესახებ	ყოველწლიური შეხვედრები საქართველოს პარლამენტსა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შორის დაიწყო 2012 წელს. ეს ტრადიცია მნიშვნელოვანი პლატფორმაა პარლამენტსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის დიალოგისთვის, რადგან ეხება ანგარიშვალდებულების, გამჭვირვალობისა და საზოგადოების ჩართულობის საკითხებს. 2013 წლის დეკემბერში, პარლამენტსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის გაფორმდა მემორანდუმი, რომელშიც კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი ყოველწლიური შეხვედრების საჭიროებას. ბოლოს, შეხვედრა ჩატარდა 2016 წლის დეკემბერში.			
ვალდებულების შესრულება	პარლამენტის რეგლამენტში შესაბამისი ცვლილებების ინიციირება მოხდა, თუმცა საანგარიშო პერიოდში არ იქნა მიღებული. ასევე, პარლამენტისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ყოველწლიური შეხვედრა არ გამართულა დროულად.			

3.2. პარლამენტის საქმიანობის ყოველწლიური ანგარიშის შემუშავება

„ღია მმართველობის პარტნიორობის“ პრინციპები	ინფორმაციაზე წვდომა	ანგარიშ-ვალდებულება	მოქალაქეთა ჩართულობა	ტექნოლოგიები და ინოვაციები
პოტენციური ზეგავლენა	არცერთი	მცირე	საშუალო	ტრანსფორ-მაციული
		X		

ვალდებულების განხორციელების ძირითადი ეტაპები	დაწყების თარიღი:	დასრულების თარიღი:	შესრულების მდგომარეობა	დროულობა
ანგარიშის შინაარსის ძირითადი საკითხების განსაზღვრა	05/2017	10/2017	შესრულებულია	დროულად
პარლამენტის რეგლამენტში შესაბამისი ცვლილებების შეტანა	06/2017	10/2017	შესრულების პროცესშია	დაგვიანებულია
შესაბამისი ინფორმაციის დამუშავების სტანდარტებისა და ერთიანი ანგარიშის ფორმის შემუშავება	05/2017	10/2017	შესრულების პროცესშია	დაგვიანებულია
ინფორმაცია ვალდებულების შესახებ	საქართველოს პარლამენტი, როგორც ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, წარმოადგენს საკანონმდებლო ხელისუფლებას, რომელიც კანონშემოქმედებითი საქმიანობის გარდა განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს და კონტროლს უწევს მთავრობის საქმიანობას. ზემოხსენებული ფუნქციების ეფექტური და ქმედითი განხორციელებისთვის, მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოებას სრულად მიეწოდოს ინფორმაცია პარლამენტის მიერ წლიურად შესრულებული სამუშაოს შესახებ. სადღეისოდ, ამგვარი ანგარიშგების ერთიანი ფორმა და პრაქტიკა არ არსებობს			
ვალდებულების შესრულება	ანგარიშის შინაარსის ძირითადი საკითხები განისაზღვრა დროულად, თუმცა შესაბამისი ცვლილები რეგლამენტში დროულად არ შესულა. ასევე, დაგვიანებულია ინფორმაციის დამუშავების სტანდარტებისა და ერთიანი ანგარიშის ფორმის შემუშავების ვალდებულება.			

3.3. საქართველოს პარლამენტის თვითშეფასების ინსტრუმენტის შემუშავება

„ღია მმართველობის პარტნიორობის“ პრინციპები	ინფორმაციაზე წვდომა	ანგარიშ-ვალდებულება	მოქალაქეთა ჩართულობა	ტექნოლოგიები და ინოვაციები
პოტენციური ზეგავლენა	არცერთი	მცირე	საშუალო	ტრანსფორ-მაციული
		X		
ვალდებულების განხორციელების ძირითადი ეტაპები	დაწყების თარიღი:	დასრულების თარიღი:	შესრულების მდგომარეობა	დროულობა
პარლამენტის თვითშეფასების საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზი	06/2017	11/2017	შესრულების პროცესშია	დაგვიანებულია

პარლამენტის თვითშეფასების ინსტრუმენტის შემუშავება	10/2017	12/2017	შესრულების პროცესშია	დაგვიანებულია
ინფორმაცია ვალდებულების შესახებ	ვალდებულების მიზანია საქართველოს პარლამენტის ინსტიტუციონალური გაძლიერება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი თვითშეფასების ინსტრუმენტის დანერგვის გზით.			
ვალდებულების შესრულება	პარლამენტის თვითშეფასების საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზსა და თვითშეფასების ინსტრუმენტზე მიმდინარეობს მუშაობა, თუმცა სამოქმედო გეგმით განსაზღვრული დასრულების თარიღები გადაცილებულია.			

4.1. საგამოძიებო და სხვა დროებითი კომისიების საქმიანობის გამჭვირვალობის გაზრდა

„ღია მმართველობის პარტნიორობის“ პრინციპები	ინფორმაციაზე წვდომა	ანგარიშ-ვალდებულება	მოქალაქეთა ჩართულობა	ტექნოლოგიები და ინოვაციები
	X	X		X
პოტენციური ზეგავლენა	არცერთი	მცირე	საშუალო	ტრანსფორ-მაციული
		X		
ვალდებულების განხორციელების ძირითადი ეტაპები	დაწყების თარიღი:	დასრულების თარიღი:	შესრულების მდგომარეობა	დროულობა
საგამოძიებო კომისიის საქმიანობის შესახებ გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხის განსაზღვრა და დამტკიცება	06/2017	11/2017	შესრულებულია	დროულად
საგამოძიებო კომისიის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის ვებგვერდზე განთავსება	11/2017	ქვეყნდება სისტემატურად	- [8]	-
ინფორმაცია ვალდებულების შესახებ	საგამოძიებო და დროებითი კომისიების შექმნა და მუშაობა გათვალისწინებულია საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით, თუმცა ამ კომისიების შექმნის პრაქტიკა წინა მოწვევის პარლამენტში თითქმის არ არსებობდა, რაც განპირობებულია კომისიის შექმნისთვის საჭირო მაღალი კვორუმით. კომისიის შექმნის შემთხვევაში, მნიშვნელოვანია, მისი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და პროაქტიული გამოქვეყნება საზოგადოების ინფორმირებისა და კომისიის ანგარიშვალდებულების გაზრდის მიზნით.			

[8] საანგარიშო პერიოდში პარლამენტში საგამოძიებო კომისია არ შექმნილა, შესაბამისად ამ ვალდებულების შეფასება არის შეუძლებელი.

ვალდებულების შესრულება	საგამოძიებო კომისიის საქმიანობის შესახებ გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხა განისაზღვრა და დამტკიცდა.[9]

4.2. საჯარო ინფორმაციის ანგარიშების (ე.წ. „10 დეკემბრის ანგარიშების“) მონიტორინგის სისტემის შემუშავება

„ღია მმართველობის პარტნიორობის“ პრინციპები	ინფორმაციაზე წვდომა	ანგარიშ-ვალდებულება	მოქალაქეთა ჩართულობა	ტექნოლოგიები და ინოვაციები
	X	X	X	X
პოტენციური ზეგავლენა	არცერთი	მცირე	საშუალო	ტრანსფორ-მაციული
		X		
ვალდებულების განხორციელების ძირითადი ეტაპები	დაწყების თარიღი:	დასრულების თარიღი:	შესრულების მდგომარეობა	დროულობა
10 დეკემბრის კონსოლიდირებული ანგარიშის კომიტეტის სხდომებზე განხილვის პროცედურის შესახებ პარლამენტის რეგლამენტში შესატანი ცვლილებების პროექტის მომზადება.	09/2017	12/2017	შესრულებულია	დროულად
ინფორმაცია ვალდებულების შესახებ	საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავის თანახმად, ყველა საჯარო დაწესებულება ვალდებულია ყოველი წლის 10 დეკემბერს საქართველოს პარლამენტს, პრეზიდენტსა და პრემიერმინისტრს წარუდგინოს და ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში გამოაქვეყნოს ე.წ. „10 დეკემბრის ანგარიში“. პარლამენტი საჯარო დაწესებულებებიდან იღებს ყოველწლიურ ანგა-რიშს ინფორმაციის თავისუფლების ისეთი ასპექტების შესახებ, როგორიცაა საჯარო ინფორმაციის გაცემა, გაცემაზე უარის თქმის საფუძვლები, კოლეგიური საჯარო დაწესებულების მიერ საკუთარი სხდომის დახურვა და სხდომის დახურვის საფუძვლები, პერსონალური ინფორმაციის დამუშავება, საჯარო მოსამსახურეთა მიერ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ნორმების დარღვევები. თუმცა, კანონმდებლობა არ ადგენს ასეთი დაწესებულების მიერ წარდგენილი ანგარიშის განხილვის კონკრეტულ პროცედურას, რის გამოც ანგარიშების წარდგენას მხოლოდ ფორმალური ხასიათი აქვს. შესაბამისად, პარლამენტის რეგლამენტით უნდა განისაზღვროს საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებული ანგარიშის განხილვის პროცედურა და რეაგირების ეფექტიანი მექანიზმები.			

[9] http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/82982/368-3

	სამწუხაროდ, დაწესებულებების ანგარიშებში მხოლოდ მოთხოვნილი ინფორმაციის რაოდენობრივი მონაცემები იცვლება და არ ხდება არსებული ხარვეზების გამოსწორება. მონაცემები მეტწილად არასრულყოფილია, არ შეესაბამება სზაკ-ის მოთხოვნებს და ნაკლებად ასახავს ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებით არსებულ რეალურ ვითარებას. ამავე დროს, ამ ანგარიშების წარდგენა მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებს და არც საკანონმდებლო ორგანო და არც აღმასრულებელი ხელისუფლება არ ახდენს ანგარიშებში წარმოდგენილი მონაცემების განზოგადებას, შესწავლას, მონიტორინგს თუ ზედამხედველობას.
ვალდებულების შესრულება	10 დეკემბრის კონსოლიდირებული ანგარიშის კომიტეტის სხდომებზე განხილვის პროცედურის შესახებ პარლამენტის რეგლამენტში შესატანი ცვლილებების პროექტი მომზადდა დროულად.

4.3. საქართველოს პარლამენტის წევრთა ეთიკის კოდექსის შემუშავება

„ღია მმართველობის პარტნიორობის“ პრინციპები	ინფორმაციაზე წვდომა	ანგარიშ-ვალდებულება	მოქალაქეთა ჩართულობა	ტექნოლოგიები და ინოვაციები
		X		
პოტენციური ზეგავლენა	არცერთი	მცირე	საშუალო	ტრანსფორ-მაციული
				X
ვალდებულების განხორციელების ძირითადი ეტაპები	დაწყების თარიღი:	დასრულების თარიღი:	შესრულების მდგომარეობა	დროულობა
აღსრულების მექანიზმებისა და სანქციების შემუშავება	09/2017	12/2017	შესრულებულია	დროულად
კოდექსის ინიცირება და მიღება	06/2017	11/2017	შესრულების პროცესშია	დაგვიანებული
ინფორმაცია ვალდებულების შესახებ	პარლამენტის წევრებმა 2004 წელს ხელი მოაწერეს ურთიერთ-შეთანხმების დოკუმენტს ეთიკის წესების შესახებ. თუმცა აღნიშნული დოკუმენტი არ განხილულა და დამტკიცებულა პარლამენტის წევრების მიერ და შესაბამისად, მას დღეს იურიდიული ძალა არ გააჩნია. პარლამენტს არ აქვს პარლამენტის წევრების მიერ ეთიკის კოდექსის დარღვევებზე რეაგირებისთვის ეფექტური მექანიზმი და მოქალაქეებს არ შეუძლიათ წარადგინონ პრეტენზიები კონკრეტულ შემთხვევებთან დაკავშირებით.			

	„ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი“ (NDI) იყო ინიციატორი ვალდებულებისა, რომ მომხდარიყო ახალი შესასრულებლად სავალდებულო ქცევის კოდექსის შემუშავება პარლამენტის წევრებისთვის. „ეროვნულ-დემოკრატიულმა ინსტიტუტმა“ მოამზადა კოდექსის კონცეფციის პროექტი და გადაუგზავნა ის მუდმივმოქმედ საბჭოს 2016 წლის თებერვალში. პროექტის პირველადი შეჯერებული ვერსია წარდგენილ იქნა მუდმივმოქმედი საბჭოს სხდომაზე 2016 წლის მარტში. საბჭოს გადაწყვეტილებით, ეთიკის კოდექსის მიღება გადაიდო და ვალდებულების სახით შევიდა ღია პარლამენტის მეორე სამოქმედო გეგმის ფარგლებში.
ვალდებულების შესრულება	2017 წლის 14 დეკემბერს ბიუროზე დარეგისტრირდა პარლამენტის წევრების ინიციატივა ახალი ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ.[10]
რეკომენდაციები სამომავლო საქმიანობისთვის	• **ნებისმიერ მოქალაქეს**, მიუხედავად იმისა, თვლის თუ არა იგი რომ უშუალოდ მის მიმართ დაირღვა ეთიკის კოდექსის ნორმები,**უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, შეიტანოს საჩივარი პარლამენტის წევრის წინააღმდეგ კოდექსის დარღვევასთან დაკავშირებით. ასეთი პრაქტიკა არსებობს დიდ ბრიტანეთში.**[11] • პარლამენტის წევრი ვალდებული იყოს **ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევაში თავი შეიკავოს კენჭისყრაში მონაწილეობისგან.** მაგ. ასეთი რეგულაცია არსებობს შვედეთსა და კანადაში. • **მნიშვნელოვანია განისაზღვროს ეთიკის საბჭოს საქმიანობის მონიტორინგის ეფექტური მექანიზმები** (მაგ. ეთიკის საბჭო არა მხოლოდ პარლამენტის წევრების არამედ სამოქალაქო საზოგადოების წევრებისგანაც იყოს დაკომპლექტებული ან საბჭოს საქმიანობაში დამკვირვებლის სტატუსით ჩაერთონ ექსპერტები). მაგ. საფრანგეთში კომისიონერი, რომელიც განიხილავს პარლამენტის წევრთა მიერ ეთიკის ნორმების დარღვევებს არ არის პარლამენტის წევრი. • **ეთიკის კოდექსი და საჩივრის ფორმა ხელმისაწვდომი უნდა იყოს პარლამენტის ვებ გვერდზე** • **პარლამენტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე უნდა გამოქვეყნდეს ინფორმაცია პარლამენტის წევრების მიმართ გატარებული დისციპლინური სანქციების შესახებ.**

4.4. განმარტებითი ბარათის შინაარსობრივი მხარის გაუმჯობესება

„ღია მმართველობის პარტნიორობის“ პრინციპები	ინფორმაციაზე წვდომა	ანგარიშ-ვალდებულება	მოქალაქეთა ჩართულობა	ტექნოლოგიები და ინოვაციები
	X	X		
პოტენციური ზეგავლენა	არცერთი	მცირე	საშუალო	ტრანსფორ-მაციული
				X

[10] https://info.parliament.ge/#law-drafting/14922

[11] საქართველოს პარლამენტის ეთიკის კოდექსის მიღება უახლოეს პერიოდში უნდა მოხდეს: https://goo.gl/7bAmo6

ვალდებულების განხორციელების ძირითადი ეტაპები	დაწყების თარიღი:	დასრულების თარიღი:	შესრულების მდგომარეობა	დროულობა
განმარტებითი ბარათის შინაარსობრივი მხარის გასაუმჯობესებლად შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტის მომზადება.	05/2017	12/2017	შესრულებულია	დროულად
ინფორმაცია ვალდებულების შესახებ	საპარლამენტო ანგარიშვალდებულების, საკანონმდებლო პროცესის გაუმჯობესებისა და კანონშემოქმედებით პროცესში სამოქალაქო ჩართულობის ამაღლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია კანონპროექტის განმარტებითი ბარათი. განმარტებითი ბარათი უნდა იყოს არგუმენტირებული, ინფორმაციული და დასაბუთებული. ამისათვის, აუცილებელია შეიცვალოს ამჟამად არსებული სტანდარტი.			
ვალდებულების შესრულება	განმარტებითი ბარათის შინაარსობრივი მხარის გასაუმჯობესებლად შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტის მომზადებებულია.			
რეკომენდაციები სამომავლო საქმიანობისთვის	სამოქალაქო სექტორისა და ექსპერტების ჩართულობით, პარლამენტმა უნდა შეიმუშაოს სახელმძღვანელო დოკუმენტი, სადაც წარმოდგენილი იქნება განმარტებითი ბარათის შევსების სტანდარტები და სანიმუშო მაგალითები.			

4.5. კომიტეტის სხდომის დღის წესრიგში ცვლილებების შეტანის დასაბუთების ვალდებულების განსაზღვრა და კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის რეგულირების დახვეწა

„ღია მმართველობის პარტნიორობის“ პრინციპები	ინფორმაციაზე წვდომა	ანგარიშ-ვალდებულება	მოქალაქეთა ჩართულობა	ტექნოლოგიები და ინოვაციები
	X		X	
პოტენციური ზეგავლენა	არცერთი	მცირე	საშუალო	ტრანსფორ-მაციული
		X		
ვალდებულების განხორციელების ძირითადი ეტაპები	დაწყების თარიღი:	დასრულების თარიღი:	შესრულების მდგომარეობა	დროულობა
რეგლამენტში შესატანი ცვლილების პროექტის მომზადება	05/2017	12/2017	შესრულებულია	დროულად

ინფორმაცია ვალდებულების შესახებ	პარლამენტში დაგეგმილი ოფიციალური შეხვედრების, მათ შორის კომიტეტის სხდომების დღის წესრიგი ქვეყნდება პარლამენტის ვებგვერდზე არსებულ ონლაინ კალენდარში. თუმცა, კომიტეტის სხდომის დროს ზოგჯერ დღის წესრიგში შედის ცვლილება და ემატება განსახილველი საკითხები სათანადო დასაბუთების გარეშე, ამასთან, კანონპროექტების განხილვა ხშირად ხდება დაჩქარებული წესით, რაც აფერხებს სამოქალაქო საზოგადოების წევრების ჩართულობას კანონპროექტის განხილვის პროცესში.
ვალდებულების შესრულება	რეგლამენტში შესატანი ცვლილების პროექტის მომზადდა დროულად.

4.6. მთავრობის მიერ ღია მმართველობა საქართველოს პარტნიორობის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის ზედამხედველობა/მონიტორინგი ნაწილობრივ შესრულებული ზედამხედველობის მეთოდოლოგიის

„ღია მმართველობის პარტნიორობის“ პრინციპები	ინფორმაციაზე წვდომა	ანგარიშ-ვალდებულება	მოქალაქეთა ჩართულობა	ტექნოლოგიები და ინოვაციები
	X		X	
პოტენციური ზეგავლენა	არცერთი	მცირე	საშუალო	ტრანსფორ-მაციული
		X		
ვალდებულების განხორციელების ძირითადი ეტაპები	დაწყების თარიღი:	დასრულების თარიღი:	შესრულების მდგომარეობა	დროულობა
ზედამხედველობის მეთოდოლოგიის შემუშავება	06/2017	12/2017	შესრულების პროცესშია	დაგვიანებული
პარლამენტის რეგლამენტში შესაბამისი ცვლილებების შეტანა	06/2017	12/2017	შესრულების პროცესშია	დაგვიანებული
ინფორმაცია ვალდებულების შესახებ	საქართველოს პარლამენტი არ ახორციელებს მთავრობის მიერ „ღია მმართველობა საქართველოს პარტნიორობის“ ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის მონიტორინგს. ვალდებულების მიზანია პარლამენტის ზედამხედველობის ფუნქციის გაძლიერება და ხელისუფლების სხვადასხვა შტოებს შორის OGP-ის ფარგლებში გაწეული საქმიანობის კოორდინაციის გაუმჯობესება.			

ვალდებულების შესრულება	მეთოდოლოგიაზე მიმდინარეობს მუშაობა და რეგლამენტის პროექტში ცვლილებები ინიციირებულია[12], თუმცა საანგარიშო პერიოდში გათვალისწინებული დასრულების თარიღები არის დაგვიანებული.

5.1. საჯარო ინფორმაციის მოდულის შექმნა და პარლამენტის საქმიანობასთან დაკავშირებით ინფორმაციაზე წვდომის გამარტივება (მათ შორის, დოკუმენტების ადვილად დასამუშავებელ ფორმატში განთავსება)

„ღია მმართველობის პარტნიორობის“ პრინციპები	ინფორმაციაზე წვდომა	ანგარიშ-ვალდებულება	მოქალაქეთა ჩართულობა	ტექნოლოგიები და ინოვაციები
	X		X	
პოტენციური ზეგავლენა	არცერთი	მცირე	საშუალო	ტრანსფორ-მაციული
		X		
ვალდებულების განხორციელების ძირითადი ეტაპები	დაწყების თარიღი:	დასრულების თარიღი:	შესრულების მდგომარეობა	დროულობა
საჯარო ინფორმაციის მოდულის შექმნა	05/2017	08/2017	შესრულებულია	დროულად
დოკუმენტებისა და მონაცემთა ბაზების პარლამენტის ვებგვერდზე პროაქტიულად გამოქვეყნება, მათ შორის ღია ფორმატში (Open Data)	05/2017	ქვეყნდება რეგულარუ-ლად	შესრულებულია	დროულად
ინფორმაცია ვალდებულების შესახებ	„საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ” საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის 2013 წლის 31 დეკემბრის N132/3 ბრძანებით დამტკიცებულია იმ ინფორმაციას ნუსხა, რომელიც უნდა გამოქვეყნდეს პარლამენტის ვებგვერდზე. თუმცა, ბრძანება არ ითვალისწინებს საჯარო ინფორმაციის ღია მონაცემთა ფორმატში გამოქვეყნებას, ხოლო გამოქვეყნებული ინფორმაცია არ არის სტრუქტურირებული, რაც ართულებს მის მოძიებას და შემდგომ გამოყენებას.			

[12] https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/168813?

	ბრძანებით ასევე არ არის დადგენილი საჯარო ინფორმაციის ელექტრონულად მოთხოვნის თანამედროვე სტანდარტები. ამავე დროს, საქართველოს ღია პარლამენტის 2015-2016 წლების სამოქმედო გეგმის 3.1 ვალდებულების (პარლამენტის ვებგვერდზე დოკუმენტების ადვილად დასამუშავებელ ფორმატში განთავსება) თანახმად, აუცილებელია პარლამენტის ვებგვერდზე დოკუმენტაციის როგორც ღია, ისე ადვილად დასამუშავებელ ფორმატში (მაგალითად, HTML / MS Word) განთავსება და პარლამენტის ვებგვერდზე PDF ფორმატში გამოქვეყნებული დოკუმენტაციის მინიმუმამდე დაყვანა.
ვალდებულების შესრულება	საჯარო ინფორმაციის მოდული შექმნილია, თუმცა საანგარიშო პერიოდში პარლამენტის ვებ-გვერდზე არ გაშვებულა.

5.2. პარლამენტის ვებგვერდის რესტრუქტურიზაცია

„ღია მმართველობის პარტნიორობის“ პრინციპები	ინფორმაციაზე წვდომა	ანგარიშ-ვალდებულება	მოქალაქეთა ჩართულობა	ტექნოლოგიები და ინოვაციები
	X	X	X	X
პოტენციური ზეგავლენა	არცერთი	მცირე	საშუალო	ტრანსფორ-მაციული
			X	
ვალდებულების განხორციელების ძირითადი ეტაპები	დაწყების თარიღი:	დასრულების თარიღი:	შესრულების მდგომარეობა	დროულობა
ვებგვერდის განახლებული სტრუქტურის შემუშავება	06/2017	12/2017	შესრულებულია	დროულად
ინფორმაცია ვალდებულების შესახებ	თანამედროვეობის გამოწვევებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი ერთ- ერთი საკვანძო ინსტრუმენტია „საქართველოს ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმით“ გათვალისწინებული მოქალაქეთა ჩართულობის, ინფორმაციაზე ხელმოსაწვდომობის, ტექნოლოგიისა და ინოვაციების განვითარებისა და პარლამენტის ანგარიშვალდებულების გაზრდის უზრუნველსაყოფად; 2016 წლის იანვარ-აპრილში, საქართველოს პარლამენტის ინიციატივით და აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებული პროექტის - დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა (GGI) საქართველოში“ მხარდაჭერით, განხორციელდა კვლევა, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოს პარლამენტის ვებგვერდის მიმართ არსებული და პოტენციური მომხმარებლების დამოკიდებულებათა (აღქმები, შეფასებები, საჭიროებები და მოლოდინები) შესწავლას.			

	კვლევამ გამოავლინა ვებგვერდის როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მახასიათებლები, ასევე, მომხმარებელთა ძირითადი მოლოდინები და საჭიროებები კომუნიკაციის სხვადასხვა არხისა და პლატფორმის, მათ შორის ვებგვერდის საშუალებით ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან, საკანონმდებლო პროცესებში სამოქალაქო ჩართულობასა და საზოგადოებრივი განათლებისა და ცნობიერების ამაღლებასთან დაკავშირებით. კვლევისთვის შერჩეულ მიზნობრივ ჯგუფებში ასევე გამოიკვეთა ის ძირითადი მახასიათებლები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს სასურველი ვებგვერდი ინფორმაციის ღიაობის, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების პრინციპებზე დაყრდნობით. კვლევის მონაცემების საფუძველზე შემუშავდა შესაბამისი რეკომენდაციები და განისაზღვრა შემდგომი ნაბიჯები, რაც შესაძლებელია საფუძვლად დაედოს ვებგვერდის რესტრუქტურიზაციას.
ვალდებულების შესრულება	ვებგვერდის განახლებული სტრუქტურა შემუშავებულია